

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შალვა ხაჭაპურიძე:
„საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა არ აქვს, ეს არის როგორც თეატრში გუტაფორია“



გვ.4

ოთხშაბათი, 8 თებერვალი, 2023

№27 (9063)

ფასი: 80 თეთრი

„ნაცმოძრაობის წევრებმა პარლამენტში კი არა, თვითონ პარტია უნდა დატოვონ“



გვ.3

იაგო ხვიჩია: „დიდი დრო არ დარჩა, რომ ჩვენი წინასწარმეტყველება სრულად ახდეს და ნაცმოძრაობა სამ ნაწილად დაიშალოს!“

„შელია ზუსტად იგივეს აკეთებს, რასაც საბიუჯეტო აკეთებდა, სანამ შელია იყო თავმჯდომარე“




გია ნოდია: „თუ ისინი უფრო რადიკალურ მეთოდებს გამოიყენებენ, ამით მხოლოდ საკუთარ თავს დაასუსტებენ“



გვ.2

„ოპოზიცია აქციებით ხელისუფლებას ვერ აიძულებს, რომ სააკაშვილი გაათავისუფლოს“

„საბიუჯეტო რასას აკეთებინებენ, ფოკუსია“



გვ.3

დათო ლორთქიფანიძე: „ნაცმოძრაობის ინილო-ბინილო 2024 წლამდე არ დამთავრდება“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიციას ასეთი გაუთვლელი, გაუზრებელი ნაბიჯები კარგს არაფერს მოუტანს“

გვ.3



„რა ხდება პოლიტიკურ ჯურღმულებში, ჯერ არ ჩანს“



პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს შეხვდა

გვ.2

„კონგრესი გაიღებს აიძულებს, უკრაინას სწრაფად გადასცეს 300 და მეტი კილომეტრის რადიუსის რაკეტები“

ამერიკელი რესპუბლიკელი პოლიტიკოსი: „უკრაინისათვის შეიარაღების მიწოდება დაჩქარდება ისე, რომ შემოდგომისათვის მან გამარჯვება მოიპოვოს“



გვ.4



5 პატრულ-ინსპექტორმა გელა კვაშილაძემ ბელაქოვანია „აიკრელს“ სამოქალაქო დავა უზანაურ სასამართლოშიც მოუპო

2 კობა ნაყოფია ახალარჩულ პოლიტსაბჭოსას გოვებს

5 ქმარ-შვილის მკვლელობისთვის მსჯავრდებული მაგდა პაპიძე პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართავს

6 ამერიკელთაგან უკრაინის გარშემო კიდევ ერთი ფრონტი გახსნას

პატრულ-ინსპექტორმა გელა კვაშილავამ ტელეკომპანია „პირველს“ სამოქალაქო დავა უზენაეს სასამართლოშიც მოუგო

პატრულ-ინსპექტორმა გელა კვაშილავამ ტელეკომპანია „პირველს“ ცრუ ინფორმაციის გავრცელების გამო სამოქალაქო დავა უზენაეს სასამართლოშიც მოუგო.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, არსებითი განხილვის შედეგად, უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილება, რომელთა საფუძველზეც, ტელეკომპანია „პირველს“ დაეკისრა პატრულ-ინსპექტორ გელა კვაშილავას შესახებ გავრცელებული ცრუ ინფორმაციის უარყოფა და მისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

– სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტვ „პირველს“ მიერ პატრულ-ინსპექტორის – გელა კვაშილავას შესახებ გავრცელებული ინ-



ფორმაცია ღირსების შემლახველი და ცილისმამბებლური იყო. სასამართლომ აღნიშნულ ტელეკომპანიას პატრულ-ინსპექტორისთვის

მორალური ზიანის ანაზღაურება, ასევე, ტელეკომპანია „პირველს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს ათეულის მეთაური – გელა კვაშილავა ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ გადატანაში დაადანაშაულა, ასევე, ამავე ტელეკომპანიამ გამოაქვეყნა მისი ფოტოსურათი, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა სიუჟეტის ავტორს განუმარტა, რომ იგი არასწორ ინფორმაციას ფლობდა, – აღნიშნულია შს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

როგორც უწყების განცხადებაშია აღნიშნული, სამი ინსტანციის სასამართლოს გა-



დაწყვეტილებით დადასტურდა, რომ გელა კვაშილავას შემხებლობა არ ჰქონდა ნარკოტიკების ტრანსპორტირებასთან, ტელეკომპანია „პირველს“ კი იცოდა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია იყო მცდარი და საზოგადოებას შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში.

ირაკლი ღარიბაშვილმა თაა წულუკიანსა და მის მოადგილეებთან საუბარო თათბირი გამართა

შეხვედრაზე უწყების 2023 წელს განსახორციელებელი გეგმები განიხილეს. ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო დოკუმენტით – „საქართველოს განვითარების სტრატეგია – ხედვა 2030“ – გათვალისწინებული გეგმების განხორციელებაზე.

აღინიშნა, რომ 2023 წელს გაზრდილი ბიუჯეტით კულტურის სამინისტრო 500-მდე პროექტს დააფინანსებს და, ამ მიზნით, 40-მდე კონკურსს გამოაცხადებს.

დაგეგმილია 50-მდე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისა და სხვა შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის პროექტირება ან/და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, მათ შორის – იუნესკოს რეკომენდაციების შესაბამისად სამუშაოების გაგრძელება გელათის სამონასტრო კომპლექსში; ჯვრის ტაძარში გადაუდებელი საპროექტო სამუშაოების, გერგეტის სამეზობლო გადასურვისა და სხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ფოთის მუზეუმში გადაუდებელი სამუშაოების, სტუდია „ქართული ფილმის“ ტერიტორიაზე სახელოვნებო ქალაქის მონუმენტის სამუშაოების ჩატარება; ნიჭიერთა ათწლედის შენობის რეაბილიტაცია და სხვ.

2023 წელს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნება ამიერკავკასიაში პირველი ხელოვნების ნიმუშების ექსპერტიზის სახელმწიფო ლაბორატორია.


წელს საქართველოს უცხოეთში სამი განსაკუთრებული მნიშვნელობის კულტურული პროექტის განხორციელების შესაძლებლობა ექნება. ესენია: ნიკო ფიროსმანის გამოფენა ლუიზიანას მუზეუმსა და ბეილერის ფონდში, ქართული კულტურის წარდგენა ბენელუქსის ქვეყნებში ფესტივალზე „ევროპალია“.

სამინისტრო ხელს შეუწყობს ნიჭიერ ახალგაზრდა ხელოვნების საზღვარგარეთ განათლების მიღებასა და პროფესიულ განვითარებაში; სამუსიკო სასწავლებლების ინსტრუმენტებით აღჭურვას; ქართული ლიტერატურის თარგმნას უცხოურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე; ფოლკლორული ანსამბლებისთვის სასცენო სამოსის შექმნას; ახალგაზრდულ შემოქმედებით ინიციატივებს; შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას; დაკარგული და მოთხოვნილი პროფესიების აღდგენას და სხვა.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს ზაფხულში „ბლეკ სი არენაზე“ მსოფლიო დონის ვარსკვლავების კონცერტების გამართვაზე.

აღინიშნა, რომ სამინისტრო აქტიურად მუშაობს მუზეუმების განვითარებაზე.

საუბარი შეეხო სპორტული ფედერაციების ხელშეწყობას.



ბის საკითხს, რისთვისაც, პრემიერ-მინისტრის ხელშეწყობით, 2023 წლის ბიუჯეტის გაზრდა მოხერხდა. შეხვედრაზე ისაუბრეს სპორტის უნივერსიტეტის შენობის რეკონსტრუქციის პროექტსა და შესაბამის სამუშაოებზე.

ქმარ-შვილის მკვლელობისთვის მსჯავრდებული მამდა პაპიძე პარლამენტის თავმჯდომარეს, შალვა პაპუაშვილს მის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო წინადადების განხილვის თხოვნით მიმართავს

პაპუაშვილისთვის გაგზავნილ დოკუმენტში პაპიძე დახურულ რეჟიმში მყოფი უვადო მსჯავრდებულთათვის ყოფითი და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას ითხოვს.

– ბატონო შალვა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგინებ საკანონმდებლო წინადადებას – „პატიმრობის კოდექსში დახურულ რეჟიმთან, „უვადო“ მსჯავრდებულთათვის ყოფითი და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების ცვლილების თაობაზე“. გთხოვთ წარმოადგენილ საკანონმდებლო წინადადებას მისცეთ შესაბამისი მსვლელობა და კანონით დადგენილ ვადაში გადასცეთ შესაბამისი კომიტეტს, – წერს პაპიძე.

ის საკანონმდებლო წინადადე-



ბის მიღების მიზეზებს განმარტავს. როგორც პაპიძე აღნიშნავს, დახურული რეჟიმი უვადო მსჯავრდებულთათვის არ ითვალისწინებს უმაღლესი განათლების მიღების უფლებას. მისივე თქმით, №5 ქალთა დაწესებულება ასევე არ ითვალისწინებს ღია სივრცეს, რეკრეაციულ ზონას ფლორიტ.

მსჯავრდებულის თქმით, დახურული რეჟიმი უვადო მსჯავრდებულთათვის ხელის შემშლელ რაობას წარმოადგენს შიდა-საბაზისო უფლებებისთვისაც, რადგან უვადო მსჯავრდებულს დასაქმების საშუალება და იმ ღონისძიებებზე დასწრება არ შეუძლია, რომელიც დაწესებულებაში ეტაპობრივად იმართება. მსჯავრდებულის თქმითვე, შეზღუდულია თითქმის ყველა იმ მარეაბილიტაციულ, შემეცნებით, სპორტულ და სახელოვნებო კურსში ჩართვა, როგორც ეს სხვა მსჯავრდებუ-

ლებისთვის კანონით დაშვებულია. მამდა პაპიძის განმარტებით, დახურული რეჟიმიდან გამოდინარე, ყოველდღიური ადამიანური ურთიერთობები იზღუდება. მისივე თქმით, უვადო მსჯავრდებულს შეზღუდული აქვს კომუნიკაციები.

მსჯავრდებულის განცხადებით, დახურული რეჟიმის დაწესებულებიდან უვადო მსჯავრდებულს უფლება არა აქვს პირადად მიდიოდეს და საზღვარგარეთ დასწრებულებაში არსებული მაღალი და ბიბლიოთეკით. პაპიძე ასევე ამბობს, რომ დაწესებულებაში დღეში ერთი საათით ჭერახდელი ოთახში ხდება გასეირნება, სადაც მზის სხივები ვერ აღწევს.

მამდა პაპიძე მის მიერ დასახელებული მიზეზებიდან გამომდინარე განმარტავს, თუ რატომ უნდა მიიღოს მის მიერ ინიცირებული შესაბამისი საკანონმდებლო წინადადება.

– ზემოთ აღნიშნული და რიგი პრობლემების ჩამონათვლიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, კანონში უნდა მოხდეს დაკონკრეტებული ცვლილება – დახურულ რეჟიმთან – უვადო მსჯავრდებულთათვის შიდა, საბაზისო უფლებების – დასაქმების, განათლების, დაწესებულებაში არსებულ ყველა აქტივობაში იმ დონით ჩართვა, როგორც ეს ხელეწიფება დანარჩენ სხვა მსჯავრდებულს.

გთხოვთ, მაცნობოთ თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, – წერს მამდა პაპიძე შალვა პაპუაშვილს.

ცნობისთვის, 2015 წელს, მამდა პაპიძე საკუთარი ქმარ-შვილის მკვლელობაში ნაფიცმა მსჯავრდებულმა და მამდაშვილმა ცნეს და გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოუტანეს. მას უვადო თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი.

საუაქრო ცენტრ „პანდაში“ ხანძარი გაჩნდა

თბილისში, წერეთლის გამზირზე, საუაქრო ცენტრ „პანდას“ ტერიტორიაზე ხანძარი იყო. დაშენვარია რამდენიმე მაღალბინა.



ირაკლი ღარიბაშვილმა ტოივო კლარტან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ვითარება განიხილა

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ვითარება განიხილა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარესთან ტოივო კლარტან და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში გაეროსა და ეუთოს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია კონფლიქტები მშვიდობიანი გზით გადაიჭრას. ამ კონტექსტში ხაზი გაესვა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში ქმედითი, ხელშეახები შედეგების მიღწევის მნიშვნელობას და აგრეთვე გალის ინციდენტების პრევენციასთან და მათზე რეაგირების



მექანიზმთან დაკავშირებით შეხვედრების განახლების აუცილებლობას.

ირაკლი ღარიბაშვილმა ტოივო კლარტანს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესში განუვლი პირადი ძალისხმევების მადლობა გადაუხადა და კიდევ ერთხელ დაადასტურა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის მიმართ საქართველოს მთავრობის ერთგულება.

შეხვედრას ესწრებოდნენ გაეროს წარმომადგენელი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში ჯიჰან სულთანოღლუ, ჟენევის დისკუსიების თანამოძღვრატორი და უფროსი პოლიტიკური ოფიცერი ეუთოს კონფლიქტების პრევენციის ცენტრის დან ზიგფრიდ ვიობერი და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე.

